საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის

ბ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. ამბროლაური

N ად–54 54-01-4-202407011411

01.07.2024

საქართველოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის ცაგერის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლება - მოვალეობების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის 27^3 მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 61-ე მუხლის, „სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის დებულების მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. **სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილეს ქრისტინე კობახიძეს დაევალოს:**

ა.ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის საქმიანობას;

ბ.სახელმწიფო რწმუნებულის არყოფნისას ხელმძღვანელობა და კოორდინაცია გაუწიოს ადმინისტრაციის საქმიანობას;

გ.კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაცია გაუწიოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

დ.კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაცია გაუწიოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების განვითარებას;

ე შეასრულოს სახელმწიფო რწმუნებულის სხვა დავალებები.

2. **სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს ალუდა თუთისანს დაევალოს:**

ა.ზედამხედველობა გაუწიოს რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის საქმიანობას;

ბ.კოორდინაცია გაუწიოს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეულ ღონისძიებებს;

გ.კოორდინაცია გაუწიოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოფლის მეურნეობის სფეროების განვითარებას;

დ.უზრუნველყოს საზღვარგარეთის სახელმწიფოების რეგიონებთან თანამშრომლური ურთიერთობების ხელშეწყობა;

ე.უზრუნველყოს ვეტერინარულ და მცენარეთა კარანტინის დაწესებისა და მოხსნის ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ. შეასრულოს სახელმწიფო რწმუნებულის სხვა დავალებები.

3. სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს ბერდია ჩანქსელიანს დაევალოს:

ა.ზედამხედველობა გაუწიოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობას;

ბ.კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;

გ.საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან კოორდინაციით, განახორციელოს საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებები;

დ.შეასრულოს სახელმწიფო რწმუნებულის სხვა დავალებები.

4.საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის ცაგერის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლება-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ“ სახელმწიფო რწმუნებულის 2024 წლის 12 იანვრის №3 განაკრგულება.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. №13);

6. განაკრგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პარმენ მარგველიძე

სახელმწიფო რწმუნებული

.